



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კავკასიის დიდი კედელი



კავკასიის დიდი კედელი.

კავკასიის დიდი კედელი, საინგილოს გრძელი **გ ა ლ ა ვ ა ნ ი**, თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობა. მდებარეობს ისტ. ჰერეთის ტერიტ-ზე (ამჟამად აზერბაიჯანის რესპ., ბელაქნისა და გაქათალის რ-ნები), სოფ. კატეხისა და სოფ. მანჯის მახლობლად, ლაგოდეხ-გაქათალის მაგისტრალური გზის მარცხენა მხარეს. აგებულია რიყის ქვითა და კაჭარით. - ზოგიერთ ადგილას კედლის სისქე 150 სმ აღემატება, სიმაღლე - 250 სმ. კედლის სისტემაში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა იყო ჩართული - კოშკები, სამლოცველოები, საცხოვრებლები და სხვ. ძეგლის ნაშთები

საკმაოდ შორ მანძილზე ვრცელდებოდა (სიგრძე დაახლ. 150 კმ), თუმცა თანამედროვე მშენებლობაში მისმა მასალად გამოყენებამ ბევრგან კედლის კვალი ნაშალა.

კ. დ. კ-ს იხსენიებენ არაბი (იბნ ალ-ფაკიჰი, X ს.), სომეხი (მოვსეს კალანკატვაცი, X ს.) ავტორები, თუმცა დათარიღების შესახებ პირდაპირი მითითება არ არსებობს. ხალხური გადმოცემით კედელი აგებულია XII ს-ში, თამარ მეფის დროს.

1936 კ. დ. კ-ის მიდამოებში გათხრები ჩაატარა ა. პახომოვმა. მისი აზრით, კედელი აგებული უნდა იყოს V-VII სს. სასანიდების მიერ. ი. ადამიას მოსაზრებით, კ. დ. კ. ქვეყნის თავდაცვის მიზნით აშენებული უნდა იყოს ადგილ. მოსახლეობის, სახელდობრ „26 ენაზე მოლაპარაკე ტომების“ მიერ, ჯერ კიდევ ადრინდ. ფეოდალურ ხანაში, დაახლ. V-VI სს. მიჯნაზე.

საქართველოს ტერიტ-ზე სხვა მსგავსი ძეგლია კელასურის კედელი.

ლიტ.: ა დ ა მ ი ა ი., ძველი ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1969, №19; მ ი ს ი ვ ე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წგ. 3 - საინგილო, თბ., 1979.

**მ. ზალდასტანიშვილი**

---